# სახალხო გაზეთი

№ 760 ოთხშაბათი, 28 ნოემბერი 1912 წ. № 760

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.**
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის" მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა **1912** წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

**მატრონე მიხეილის ასული და თეოფილე იოსების ძე გოგიტიძეები** უგულითადეს მადლობას ვწირავთ **ბათომელ ქართველობას** და **ოზურგეთის საზოგადოებას** იმ თანაგრძნობისა და მონაწილეობისათვის, ჩვენს მწუხარებაში ჩვენი საყვარელი უფროსი ვაჟის, ბათომის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის,

**ალექსანდრეს (საშას),**

მოულოდნელად დაკარგვის გამო, რითაც პატივი გვცეს პირველმა ცხედრის ბათომიდან ოზურგეთს გამოსვენებისა, ხოლო მეორეჯ დასაფლავების დროს. დიდ მადლობას ვუცხადებთ, აგრეთვე იმ ჩვენს ნაცნობთ, მეგობართა და ნათესავთ, რომელთაც დეპეშებით, წერილებით თუ პირადად მოგვისამძიმრეს და გაინაწილეს ჩვენი გამოუთქმელი მწუხარება. 1614

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძველინსკის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფურაძევი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირაძოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თაკაშაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყელის, ყურის და ცხვ. | **ათინიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½<br>**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია; ,,606'' 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

**ექიმი** პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**ხუთშაბათს, 29 ნოემბერს,**

### ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ

ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენ. იქნება:
**ვასილ ალ. აბაშიძის** მონაწილეობით

პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა **გედოკლათი,** პიესა 4 მოქ. დ. ნახუცრიშვილისა.
**მაკას** როლს შეასრულებს **ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა.**

2) **დედის ერთა,** მხიარული ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი,
**კნ. რიფსიმეს** როლს შეასრულებს **ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა.**

ონაწილეობენ: ქ-ნნი: აბაშიძე, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გუდევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

**დასაწყისი საღ. 8 საათზე.** ადგილ. ფასი საბენეფისოა.

**ანონსი:** კვირას, 2 დეკემბ., წარ. იქნება 1. ,,სიმხინჯე'', დრ. შიუკაშვილისა; 2. ,,უბედური დღე'', მხიარ. ვოდ. ვ. ბალანჩივაძისა.

1578 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი,** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

**კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი**

**ხუთშაბათს, 29 ნოემბერს,** ქართ. ს. ხ. წარ. მმართვ. წრის მიერ გამართულ იქნება

**კ. გ. ფოცხვერაშვილის** უკანასკნელი

### ქართული სახალხო კონცერტი.

შესრულებულ იქნება კ. ფოცხვერაშვილის ახალ ქართულ ოპერიდან (**კერპთა დამხობა**) სოლოები, ხოროები და სიმფონიური ნომრები. გაძლიერებული **ქალ-ვაჟთა გუნდი** „ახალ კლუბის" **ორკესტრთან** ერთად შეასრულებს კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებულ **ქართულ ეროვნულ სიმღერებს.** სიმფონიურ განყოფილებაში ორკესტრი შეასრულებს სხვა პიესათა შორის კ. **ფოცხვერაშვილის** სიმფონიურ ესკიზს ,,**თქმულება ამირანზე**''. მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მომღერალი ქალი **ქ-ნი პრესინსკისა.** დაწვრილებით აფიშებში. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი 5 კ. 1 მ.

ლოტბარი კ. გ. ფოცხვერაშვილი, **წრის ადმინ.**

**ანონსი:** 4 დეკემბერს წარმოდგენილ იქნება ,,უმუშევარნი''. 1499

**წელიწადი მეთხუთმეტე.**

### დამყნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე
### სანდრო,
### გიორგი მ. ჩივაძისა

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ 1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.** 1586

[illegible]

**შეიძლება დაკვეთა:**

### ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ინ. დეკანოზიშვილთან.**
**თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ერევანში--ელენე ვირსალაძესთან**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** 1153

### დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
### წამლობა ჭლექისა.

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ** შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხ.). **ტელეფ. 7—92.** 777

### საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა ,,606''-ით.** 1018

**ექიმი** ს. ი. ბძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შიგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

**ექიმი** ი. ე. ჯაში **განაგრძობს** ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ჭლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

ნატიც-ვექილ. თანაშ.

### გიორგი პავლეს ძე გორდეზიანი

**გადავიდა** ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 47. 829

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

### მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა** და **გადაღება** რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ № 20. წ. 1022

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ ქ.** № 34, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

**ექიმი** ი. კ. აბაკელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

**ექიმი** ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6

**ექიმი** ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

## კახეთის რკინის გზის გარშემო

(ბ-ნ გ. გვაზავას წერილის გამო).

ძნელი საქმე უტვირთია ბ-ნ გვაზავას: მასა ჰსურს დაამტკიცოს, რომ ჩვენი ადგილობრივი ინტერესებისთვის სასარგებლო იქნება, თუ კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზები ერთს საზოგადოებაში მოექცევა და ადგილობრივი ელემენტები, თავად-აზნაურობის სახით, ყოველ-გვარ გავლენას დაჰკარგავენ კახეთის რკინის გზის საზოგადოებაში. ვამბობთ, ძნელი საქმეიო, რადგანაც ბ-ნ გვაზავას ამის დასამტკიცებლად ვერ შეუძლიან ერთი ისეთი საბუთი მაინც მოიყვანოს, რომელიც ყურადღების ღირსი იყოს და რომელიც დაწვრილებით განხილვის შემდეგ, სრულიად წინაალმდეგს არ ამტკიცებდეს. საჭირო არ არის დიდი ფინანსისტი იყოს ადამიანი. საკმარისია თვით ბ-ნ გ. გვაზავას წერილს ჩაუკვირდეთ გულდასმით, რომ სიყალბე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გადაიშალოს თვალ-წინ და თვით მისმა წერილმა დაგვარწმუნოთ, რომ სიმართლე იქ არ არის, სადაც ბ-ნი გ. გვაზავა ეძებს. სანამ ბ-ნ გვაზავას წერილის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვუძღვნათ იმ ორ-აზროვან სიტყვებს, რომლებითაც ბ-ნი გ. გვაზავა თავის წერილს იწყობს. „ვიცით, საიდანაც უბერავს ნიავი, მაგრამ შემცდარი იქნება, თუ ამ შენიშვნებში საზოგადოებრივ აზრის გამოხატვას დავინახავთ". ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია უფრო აშკარად ვილაპარაკოთ და გავხსნათ ფრჩხილები, რომლებშიაც ბ-ნ გვაზავს დიპლომატიურად მიუქცევია არა საკადრისი და ეჭვის აღმძვრელი აზრი.

ზემო-მოყვანილ სიტყვებით ბ-ნ გვაზავას უნდოდა ეთქვა, რომ მთელი ეს ყაყანი გამოწვეულია არა საქმისადმი ინტერესით, არამედ თავ. პ. ი. თუმანიშვილისადმი მიმართულ პირადი ხასიათის ინტრიგით. ინტრიგა კი უნდა გამომდინარეობდეს იმათგან, ვინც დღემდის დეპუტატთა საკრებულოს მესვეურად ითვლებოდა. ამ ნიადაგზე გადატანა ისეთი სერიოზული საკითხისა, რანაირიც კახეთის რკინის გზის საკითხია, დიდს დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს ისეთს ადამიანს, როგორიც ბ-ნი გ. გვაზავა ბრძანდება. ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნს გვაზავას შეუძლიან ცოტა ობიექტიურად შეხედოს საკითხს, გვგონია იგი ამნაირ წერილმან, ეჭვიანობაზე მაღლა უნდა იდგეს, და ძალიან მოხარულნი ვიქნებით, თუ ამაში არ მოვსტყუვდებით.

მაგრამ ეს სხვათა შორის. გადავიდეთ საგანზე. ბ-ნ გ. გვაზავას წერილი ორ მთავარ დებულებად შეიძლება გაიყოს. აი ეს დებულებანიც: 1) ის პირობა, რომელიც თავად-აზნაურობამ დაუდო რუსეთ-აზიის ბანკს, იურიდიულის მხრით სრული არ არის. ამ პირობის ძალით რუსეთ-აზიის ბანკს უფლება აქვს დამატებითი აქციები გამოუშვას. თუ თავად-აზნაურობის ინტერესები სათანადო მუხლით არ არის უზრუნველ-ყოფილი, ამის ბრალი ედება პირობის დამდებს, თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილს. გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ისარგებლა ხელ-შეკრულობის სუსტი მხრით. მერე რა ვუყოთ? ჯვარს ვაცვამ ის, ვინც ცუდი ხელ-შეკრულობა დაუდო რუსეთ-აზიის ბანკს და არა ის, ვინც ამ ხელ-შეკრულობის სუსტი მხრით ისარგებლა. 2) ესეც რომ არ იყოს, კახეთის რკინის გზის ბატონ-პატრონობა არც სასარგებლოა, რადგანაც კახეთის რკინის გზა საზარალო საქმეა. არც ის არის მართალი, თითქოს მოსამსახურეთა დანიშვნისთვის იყოს ეს საჭირო. უმაღლეს მოსამსახურეთ სამინისტრო ნიშნავს; დაბალ მოსამსახურეთა მიღება კი დამოკიდებულია ცოდნაზე. სინეკურა წარმოდგენილია, განსაკუთრებით ისეთს დაწესებულებაში, სადაც თვით მთავრობაც კისრულობს ზოგიერთს პასუხისმგებლობას.

ამ ორ დებულებათა შორის ჩარჩენილია მესამე მოსაზრება, რომ სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა, როგორც გზა, სასარგებლოა თვით კახეთის რკინის გზისთვის. ეს მესამე მოსაზრება ლოღიკურად არ არის დაკავშირებული პირველ ორთან, რადგანაც სადავო საკითხადაა გადაქცეული არა ის, სასარგებლოა თუ არა სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა კახეთის რკინის გზისთვის, არამედ სასარგებლოა თუ არა კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზათა **გაერთიანება** ერთს საზოგადოებაში. მეტად მიგვაჩნია ლაპარაკი იმაზე, სასარგებლოა თუ არა საზოგადოდ სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა, რადგანაც ჯერ არავის გამოუთქვამს ის მოსაზრება, რომ ასეთი რკინის გზა შეუძლებელია მავნებელი იყოს კახეთის რკინის გზისთვის. ჯერ ასეთი აზრი არავის გამოუთქვამს, და ამიტომ ვერ გაგვიგია, ვინა ჰყავს ბ-ნ გვაზავას მხედველობაში, როდესაც სწერს, ან ვის ებრძვის?

კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზათა გაერთიანება ერთს საზოგადოებაში რომ საზარალოა ადგილობრივ ინტერესებისთვის, ეს კი ითქვა, და მგონია, საკამათო საგანიც ეს უნდა იყოს.

ბ-ნი გვაზავა გვარწმუნებს, ხელ-შეკრულობა ცუდად დაიწერა და რუსეთ-აზიის ბანკმაც ამით ისარგებლოა. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ხელშეკრულობის §§ 21, 8, რომელნიც, მართლაც, უფლებას აძლევენ ბანკს, გამოსცეს დამატებითი აქციები. მაგრამ აქაც ერთი შესწორება საჭირო. როდესაც ეს პარაგრაფები იწერებოდა, მხედველობაში ჰქონდათ ის გარემოება, რომ შესაძლებელია არსებული საამშენებლო კაპიტალი არ ეყოს რკინის გზასა. მოსალოდნელი იყო ზედ-მეტი ხარჯი, რაც უეჭველია გამოიწვევდა ზედ-მეტ აქციათა გამოშვებას თვით კახეთის რკინის გზის საჭიროებისთვის. გარდა ამისა, შესაძლებელია საჭირო ყოფილიყო ცოტათი გაფართოვება კახეთის რკინის გზისა, ტოტების მომატება და სხვა. ყველა ამ მოსალოდნელ შემთხვევებისთვის შეიქმნა ზემოხსენებული პარაგრაფები. მაგრამ ბანკმა სხვა ხასიათი მისცა მათ. მან მოინდომა გა-

ყვანა ახალი რკინის გზისა, რომელიც ოთხჯერ დიდია კახეთის რკინის გზაზე, და ამას დაარქვა კახეთის რკინის გზის **გაგრძელება.** ეს იგივეა, რომ მტკვარს არაგვის ტოტი დაუძახოთ. ფორმალურ-იურიდიულის თვალსაზრისით ბანკი იქნება მართალიც იყოს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ იგი მართალი იყოს. **დამატებითი** თანხა ძირითად თანხას ოთხჯერ აღემატება, მაშინ ის **დამატება** აღარ არის, რომ ამ პარაგრაფებში ლაპარაკია სწორედ ისეთს თანხაზე, რომელიც ძირითად თანხას არ უნდა აღემატებოდეს, ეს სხვათა შორის სჩანს იქიდანაც, რომ თავად-აზნაურობამ შემდეგი პარაგრაფებით თავისთვის დაიტოვა უფლება ამ დამატებით აქციების ნაწილის შეძენისა, იმ ვარაუდით, რომ კახეთის რკინის გზაში მაშინაც ბატონ-პატრონად დარჩენილიყო. ბანკი კი სრულიად სუბიექტიურსა და თავის ნება-აზრს აძლევს სიტყვას **დამატებას** და აფართოვებს იმდენად, რომ ეს დამატება ძირითად თანხას აღემატება.

ხელ-შეკრულობის შემდგენელთ, თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ, თუ შეიძლება რამე ვუსაყვედუროთ, მხოლოდ ის, რომ წინდაწინვე ვერ გაითვალისწინეს ეს მოსალოდნელი ოინი ბანკის მხრით და უფრო ნათლად, უფრო ცხადად არ აღნიშნეს, რომ დამატება მართლა დამატება უნდა იყოს და არა ქონის სანთელი. ასეთი სუსტი მხარე ხელშეკრულობისა აქვს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ბანკი თავით ბოლომდე მართალი იყოს იურიდიულადაც კი. მაგრამ, ვსთქვათ, ცამდის მართალია, ვსთქვათ, ხელშეკრულობა მართლა სრულს უფლებას ანიჭებს მათ, ასე გააფართოვონ რკინის გზა და მთელი რუსეთის რკინის გზები კახეთის რკინის გზის გაგრძელებად ჩასთვალონ. განა ეს კიდევ ნებას აძლევს ვისმეს, თუ მას ჩვენი საზოგადოებრივი საქმეებისადმი გული შესტკივა, ბოროტად მოიხმაროს ეს უფლება და იმოქმედოს წინააღმდეგ ადგილობრივ ინტერესებისა? თუ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს შეცდომა შეუვიდათ, თუ ეს მართლა დიდს შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს, საჭიროა ამ შეცდომის გასწორება, საჭიროა საქმის გამობრუნება და არა თავისი გავლენის ამოქმედება ადგილობრივ ინტერესების წინააღმდეგ. თვითოეულ ჩვენთაგანს საზოგადოდ და კერძოდ ბ-ნ გ. გვაზავას ძალიან ბევრნაირი უფლება გვაქვს, მაგრამ ყველა უფლებით სარგებლობას საზოგადოება არ გვაპატიებს.

ასე რომ ამ საეჭვო ღირსების უფლებას ტყუილად ებღაუჭება ბ-ნი გვაზავა. თუ საკითხი აინტერესებს, უნდა გამოარკვიოს და დაამტკიცოს, რომ შეერთება კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზებისა ერთს საზოგადოებაში სასარგებლოა, მიუხედავად იმისა აქვს ვისმეს ამის უფლება თუ არა. საკითხს უნდა შევხედოთ ადგილობრივ ინტერესების თვალსაზრისით და მოვიყვანოთ საბუთები ამის დასამტკიცებლად. ბ-ნი გვაზავასაც მოჰყავს „საბუთები", ვნახოთ, რა ღირსებისაა ეს საბუთები.

(დასასრული იქნება)

არ. ჯ—შვილი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ დეპეშათა სააგენტოს ცნობით უმაღლესი ბრძანებით **მოსკოვის მიტროპოლიტად დაინიშნა ტომსკის არქიეპისკოპოზი მაკარი.**

◆ ქალაქის საბჭომ დაადგინა, ძმებს ვართანოვებს 28,8 ოთხკუთხი საჟენი საქალაქო მიწა მიჰყიდოს ამაღლების ქუჩის მისახვევში.

◆ **ქალაქის ლომბარდის გამგედ** ქალაქის საბჭომ ერთის წლით აირჩია ლომბარდის მთავარი ბუჰგალტერი ბ-ნი მელიქ-სარქისოვი.

◆ **პენსიები.** ქალაქის საბჭომ პენსიები დაუნიშნა ქალაქი, ექიმებს: სარქისოვს—122 მან., ხოლო მაღალოშვილს—432 მ. წელიწადში.

◆ **წესიერი დასვენება.** ტფ. ვაჭართა მამასახლისმა ა. ნ. მილოვმა გუშინ ქალაქის ვაჭრებს საგანგებო მიწერილობანი დაუგზავნა, რომლითაც აცნობა, რომ წესიერ დასვენების ახალი სავალდებულო წესები, რომელიც ქალაქის საბჭომ შეიმუშავა და გუბერნატორმა დაამტკიცა, ძალაში შედის 1 დეკემბრიდან. დასასრულ მამასახლისი ვაჭრებს სთხოვს, ახალი წესები არ დაარღვიონ.

◆ **მიწის ყიდვა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვისაგან ავლაბრის მესამე საქალაქო სასწავლებლისთვის 1,000 ოთხკუთხი საჟენი იყიდოს 35,000 მან.

◆ საქართველოს ეგზარხოსის მოადგილემ **ეპისკოპოსმა პიმენმა** გუშინ ა. ი. მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლა დაათვალიერა და სამღვთო სჯულის გაკვეთილს დაესწრო.

◆ როგორც ვწერდით, ტფ. ვაჭრებს ნება დართეს, ხარჯი შეიწერონ 1 საკომერციო სასწავლებლისა და მანთაშევის სავაჭრო სკოლის შესანახად. ეს ახალი წესი შემოღებულ იქნება 1 იანვრიდან.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** განხილვა ქალაქის საბჭომ ორის კვირით გადასდო ხმოსნის ბეზორაზოვის წინადადებით. ხარჯთ-აღრიცხვა საბჭოს უნდა წარედგინოს საფინანსო კომისიის დასკვნით.

◆ ქალაქის ბაღებისა, პარკებისა და ბულვარების შენახვა-მოვლის **სავალდებულო დადგენილებათა** პროექტი, რომელიც ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა, ქალაქის საბჭომ უარჰყო.

◆ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ი. ნ. ხუნუნცი, ხოლო მის ამხანაგად ლ. გ. ევანგულოვი.

◆ **ხორცის ნიხრი.** ტფ. ქალაქის გამგეობის შეკითხვაზე ბაქოს ქალაქის გამგეობამ უპასუხა, რომ ბაქოში ხორცის ნიხრი არ არსებობს და ხორცს ჰყიდიან მორიგებით, გირვანქას ძროხის ხორცს 13—14 კაპეიკად, ხოლო ცხვრისა—18 კაპ.

◆ 26 ნოემბერს ტფილისში 79 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, 28 გიორგობისთვეს, დანიშნულია **ქართულ სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება (ალექსანდრეს ბაღში, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში). ამ საზოგადოების აგრონომები კრებას მოახსენებენ თავთავიანთ მოქმედების ანგარიშს და მომავალ სამოქმედო გეგმას.

# ქუთაისის ავ-კარგი.

ახირებულ კრებას დავესწარი 25 ამ თვეს. აქაურმა განყოფილებამ წერა-კითხვის საზოგადოებისამ მოიწვია არა ჩვეულებრივი კრება თავისი წევრებისა; მას განყოფილების გამგეობამ მოახსენა, ჩვენ განვიზრახეთ სტამბის დაარსება და თქვენგან ველით დასტურსაო.

კრებას იმდენი წევრი დაესწრო, რომ კანონიერად ჩასთვალა გამგეობამ და თავმჯდომარის არჩევის შემდეგ ზოგიერთმა წევრმა ლაპარაკი აღძრა კრების უკანონობაზე, მარტო მისთვის, რომ კრებაზე მოსაწვევი ბარათი ყველას არ მისვლოდა, თუმცა კრების მოწვევის შესახებ გარდა ბარათების დაგზავნისა, გამგეობამ რამდენიმე განცხადება დაბეჭდა აქაურ გაზეთში. მარტო გაზეთში დაბეჭდილი განცხადება საკმაოდ უნდა ჩაითვალოს საზოგადოების წევრთა საუწყებლად და ვერ გავიგეთ რად ინდომეს ზოგიერთმა წერილების მიუსვლელობის თითზე დახვევა.

გამგეობამ მოახსენა კრებას სტამბის დაარსების თაობაზე. ერთი ნაწილი კრებისა თითქო ეჭვის თვალით უყურებდა გამგეობის განზრახვას. ამაში გასაკვირველს არავინ რას დაინახავდა, რომ კრების ორი წევრი სტამბის პატრონები არ მიმხრობოდნენ უწმუნო თომებს კრებისას და გულზე ხელის ცემით არ შესდგომოდნენ იმის მტკიცებას, რომ სტამბა საზარალო საქმეა, არსებული სტამბის პატრონები მუდამ ზარალში არიან და ნუ მოჰკიდებთ ასეთ საზარალო საქმეს ხელსაო.

არც ერთი ჩვენი მესტამბე დიდის თანხით არ შესდგომია თავის საქმეს და ნეტავი როგორ უძლებოდნენ გამუდმებულ ზარალს?! შეშლილი ნახტომი ბ-ნი მესტამბეებისა კრების რამდენიმე წევრმა აღნიშნა, მაგრამ სტამბის დაარსების მოწინააღმდეგენი თავისას არ იშლიდნენ და გულზე ხელის ცემით აფრთხილებდნენ კრებას, ნუ შეუდგებით საზარალო საქმესაო.

კრებამ არ შეიწყნარა მესტამბეების რჩევა და 30 ხმით წინააღმდეგ 13 ხმისა გადასწყვიტა სტამბის დაარსება.

ეჭვი არ არის, რომ სტამბის მოწყობა და გაძღოლა მძიმე და რთული მოვალეობაა და ეს გარემოება უფრო ავალებს გამგეობას დიდის წინ დახედულობით და სიფთხილით შეუდგეს თავის საქმის განხორციელებას და არ გაიმეოროს ის შეცდომები, რომელიც ხშირად თანა სდევს ასეთს დაწყებულობას ჩვენში.

ამ მხრივ გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ზდანოვიჩმა დაამშვიდა კრება და განაცხადა, რომ საქმის მოწყობას და წლიური ხარჯთ-აღრიცხვის გამორკვევას გამგეობა განიხილავს იმ გამოცდილ პირთა თანადასწრებით, რომელნიც კრებაზე უარყოფით ეკიდებოდნენ სტამბის დაარსების საქმესაო.

⁂

მკითხველს იქნება კიდევაც დაავიწყდა, რომ ქართულ გიმნაზიასთან არსებობს ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება, რომელიც 2—3 წლის განმავლობაში რაღაც მიზეზით მიძინებული იყო. წარსულ ზაფხულს ამ საზოგადოების გამგეობა განახლებულა და, როგორც გვესმის, ახალი გამგეობა შესდგომია თავის მოვალეობის ასრულებას. 21 ამ თვეს მოხდა ამ საზოგადოების გამგეობის სხდომა, რომელსაც გარდა გამგეობის წევრებისა დასწრებიან გარეშე პირნიც. გამგეობის თავმჯდომარეს პატივცემულ ქ-ნ ელენე ჩიქოვანისას განუზრახავს უღარიბეს მოსწავლეთათვის უფასო სადილების მიწოდება იმ სახით, როგორც ეს მოწყობილია ტფილისის ქართულ გიმნაზიასთან. თუ ასეთი სადილების მოწყობა ტფილისში დიდს საჭიროებას წარმოადგენს, ქუთაისში ერთი ათად მეტია ეს საჭიროება.

ქ-ნ თავმჯდომარის ასეთ თაოსნობას კრება აღტაცებით მიეგება და იმავე კრებაზე გადაწყდა ასეთი სასადილოების დაარსების საჭიროება. სხვათა შორის ქალაქის თავმა ბ-ნმა ილია ჩიქოვანმა აღუთქვა გამგეობას ქალაქის მხრივ ფულით დახმარება. გარდა ამისა კრებაზე დაესწრნენ ვაჭრები სხვა და სხვა წრიდან და ამათაც აღუთქვეს დახმარება გამგეობას. ეჭვი არ არის, გამგეობა ბეჯითად შეუდგება სასადილოების მოწყობის საქმეს და საზოგადოების მხრივაც ეს დაწესებულება დიდს დახმარებას მიიღებს.

ზემოხსენებულის გარდა, გამგეობას განუზრახავს, 21 დეკემბერს საქველმოქმედო საღამოს გამართვა აქაურ კლუბში, ქართული გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. საღამოს პროგრამა, როგორც გავიგეთ, საინტერესოდ არის შედგენილი. იმედია ქუთაისის საზოგადოება ჩვეულებრივ სიმპატიას აღმოუჩენს საღამოს, რომლის დიასახლისიც იქნება ქალაქის თავის მეუღლე ქ-ნი ელენე ჩიქოვანისა.

ს. ე. ქ.

# „მომხმარებელი საზოგადოება"

### სოფელ ახაშენში

(ქიზიყი).

ამ მოკლე ხანში სოფელ ახაშენში დაიწყებს მოქმედებას მომხმარებელი საზოგადოება. დამფუძნებელთ: აგრონომმა გიორგი ალექსანდრეს ძე წინამძღვრიშვილმა, ბლაღოჩინმა ისიდორე ვაჩეიშვილმა და მასწავლებელმა ვლადიმერ რობიტაშვილმა უკვე გაგზავნეს ტფილისის გუბერნატორთან თხოვნა და წესდება დასამტკიცებლად.

როგორც თვით დამფუძნებელთ გადმოგვცეს, ახაშენის მომხმარებელი საზოგადოება პირველ შემთხვევაში მიზნად დაისახავს თავის წევრთ მიაწოდოს საუკეთესო ღირსების და ხელმისაწვდენ ფასებში ვენახის საწამლებელი მასალა და აპარატ-ხელსაწყოები მაგ. შაბიამანი, გოგირდი, საბერველ—წამლის დასასხმელები და მავთული ვაზის გასაბმელად.

დამფუძნებელთ უკვე 50 წევრი შეუძენიათ ადგილობრივ სოფელ ახაშენის მკვიდრთაგან. თვითეულ წევრის ამხანაგობაში შესასვლელი ფული ერთი მანეთი დაუწესებიათ, ხოლო პაის ფული თუმანი ეღირება. ამასთანავე დამფუძნებელ კრებაზე იქმნება დამოკიდებული გადასწყვიტოს, თუ რომელ წევრს ამხანაგობისას რამდენი პაის შეძენის უფლება ექნება.

პირველ დაწყებით საწარმოვო თანხად ვარაუდით გამოანგარიშებულია წევრთაგან სულ უკანასკნელი ორმოცდა ათი თუმანი—თვითო წევრზე თითო პაის ფული. უმაღლესად ახლად დამტკიცებულ კანონის ძალით, სასოფლო ამხანაგობათ ნება ეძლევათ ხაზინიდანაც სამი იმდენი კრედიტით ისარგებლონ, რაც მათ ძირითად თანხადა აქვთ. მაშასადამე ახაშენის მომხმარებელ ამხანაგობასაც ნება ეძლევა ას ორმოცდა ათი თუმნის კრედიტით ისარგებლოს ხაზინიდან. ახაშენლებს ამ რიგად პირველ ხანს ექნებათ საწარმოვო თანხად ორასი თუმანი.

ადგილობრივი, თუ ტფილისის ვენახისთვის საჭირო საწამლებელი მასალებით მოვაჭრენი ჰპირდებიან ამ მომხმარებელ საზოგადოების დამფუძნებელთ, რომ რამდენ მასალასაც ნაღდად წაიღებენ, იმის ნახევარსაც ნისიად განდობთო. ასე რომ ახაშენის მომხმარებელ საზოგადოებას პირველ წელს ექმნება ყოვლად გაუჭირვებლივ სამასის თუმნის ვენახის საწამლებელი მასალა—ნივთიერებანი და საჭირო ხელსაწყო—იარაღები, რაიცა დამფუძნებელთა აზრით სრულიად საკმარისია ამ ერთი სოფლის მკვიდრთათვის.

ამას გარდა დამფუძნებელთ ჰსურთ თავის წევრებს პირველ ხანს მიაწოდონ ოჯახში უსაჭიროესი სახმარებელი საგნები მაგ. ნავთი, მარილი, საპონი, ჩაი, შაქარი და სხვა. თუ შემდეგ ეს საზოგადოება გაფართოვდა და მკვიდრ საფუძველზე დადგა მაშინ რასაკვირველია ვაჭრობას გააცხოველებენ.

ვუსურვებ სოფელ ახაშენის ამ სამს ენერგიით სავსე დამფუძნებელს ამ ფრიად სასარგებლო და სიმპატიურ დაწესებულებისათვის თავის გამოდებას და მკვიდრ ნიადაგზე მის დაყენებას, რათა სხვა სოფლის შეგნებულ პირთა მისაბაძი მაგალითი გახდნენ...

X.

### ერევანის გიმნაზიის ინსპექტორის

# ნიკოლოზ მაჭავარიანის

### ცხედრის დასაფლავება ქუთაისში.

ოთხშაბათს, 21 ნოემბერს გათენებიდანვე აუარებელი მოსწავლე ახალგაზრდობა, ინტელიგენცია და გარეშე ხალხი, მიაწყდა რკინის გზის სადგურს; ერთი საათის განმავლობაში დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და ავსო ქუჩა სადგურიდან დაწყებული რეალური სასწავლებლის ჭიშკრამდე. ვაგონი, რომელშიაც ესვენა მიცვალებული, ტფილისის სადგურზე დაეტოვებინა რკინის გზის მთავრობას, რადგანაც ასეთ ვაგონის გადაბმა ჩქარ მატარებელზე, აღკრძალული ყოფილა; ეს ჭირისუფლებსაც როდი სცოდნიათ.

ამის გამო ცხედარი მოასვენეს საღამოს შვიდ საათზე: თუმცა ცივი ქარიანი ღამე იყო, მაგრამ ხალხი მაინც აუარებელი დახვდა სადგურზე; იმ ღამეს ცხედარი შეასვენეს რეალური სასწავლებლის ეკლესიაში. ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, ეკლესია გაიჭედა ხალხით; დეკანოზმა გაბრიელ ცაგარეიშვილმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა. ოთხის ნახევარზე გამოასვენეს ცხედარი; სასწავლებლის ეზოში დაუკრა სამგლოვიარო ჰიმნი მოწაფეთა ორკესტრმა; დაიძრა პროცესია, წინ ჩამწკრივებულ მოსწავლეებს მოჰქონდათ გვირგვინები, რიცხვით ოცდაათი, მერე მოდიოდა ამ სასწავლებლის მგალობელთა გუნდი, კორნ. მაღრაძის ლოტბარობით, შემდეგ სამღვდელოება, ცხედარი, საზოგადოება და ორკესტრი; კუბოს მიასვენებდნენ რეალური სასწავლებლის მოსწავლეები. ჭიშკართან პროცესია გადაიღო „რადიუმის" სინემატოგრაფისათვის ვ. ამაშუკელმა. განსვენებულის ნამოწაფარმა რეალურ სასწავლებლის მოწაფემ ქართულად წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა განსვენებული, როგორც ადამიანი და მასწავლებელი. შემდეგ პროცესია დაიძრა. კიდევ გადაიღეს სინემატოგრაფ-ფოტოგრაფით. ხუთის ნახევარზე სასაფლაოზე მიასვენეს. აქ სიტყვები წარმოთქვეს, როგორც მოსწავლეებმა ისე ნამოწაფრებმა. ხუთ საათზე განსვენებულის გვამი მიწას მიაბარეს.

ლადო ბზვანელი.

# ფუტკარი და მეფუტკრეობა

ბატონ ცაგარლის წერილმა, რომელიც იყო მოთავსებული სახალხო გაზეთის № 743, აღმიძრა სურვილი გამომეთქვა აზრი მისგან დასახელებულ მეფუტკრეობის ტერმინოლოგიებზედ. უპირველესად უნდა აღვნიშნო, რომ ბ. წულაძისაგან შედგენილი წიგნი ერთად ერთი წიგნია დღეს ჩვენში, რომლის საშუალებითაც შეგვიძლიან ქართულად შევისწავლოთ მეფუტკრეობის და ფუტკართა ცხოვრების გონივრული ცოდნა. თუმცა ბ. წულაძეს თავის წიგნით მეფუტკრეობის მეცნიერებისთვის მაინც და მაინც ახალი გამოგონილება არა შეუძენია რა, მაგრამ საკმარისია რომ მოგვცა ქართული სასწავლო წიგნი ჯერ ერთი, მეორე კი, რომ ეს წიგნი არა ნათარგმნია არამედ თავისებური და პირდაპირ შედგენილი. ამას ჩვენ ვაფასებთ და ამიტომაც დიდ მადლობასაც უძღვნით ავტორს. რასაკვირველია, როგორც ყოველივე მეურნეობა-მეცნიერების დარგის შესწავლა არ განისაზღვრება ერთ რომელიმე სასწავლო წიგნით, ისე მეფუტკრეობის საფუძვლიან შესასწავლად საჭიროა აუცილებლივ სხვა და სხვა მომხმარე და საშველი წიგნებიც და თუ ბ. ცაგარელი მოგვცემს ქართულად ცნობილ ბერტრანის სრულ წიგნს ის ამით დიდ საგრძნობელ ღვაწლს დასთესს ჩვენებურ მეფუტკრეობის განვითარებაში. შტო გონივრულ მეფუტკრეობისა ჩვენში დანერგულია, მხოლოდ ესაჭიროება ხელი შეუწყოთ და ვახეიროთ, რომ გაიდგას ფესვი და მოიტანოს ნაყოფი. ამას მივაღწევთ, სხვათა შორის, სხვა და სხვა ავტორების წიგნების გავრცელებითაც. ერთგვარი ტერმინების შემოღება ამ წიგნებში აუცილებელი საჭიროებაა და რომ გაადვილდეს ამ ტერმინების გავრცელება ხალხში უნდა ვერიდოთ იმისთანა სიტყვებს რაც მეხსიერებას დაამძიმებს და დააშრომებს. ბ. ცაგარლის მოყვანილ პარალელებიდან უნდა მიეცეს უპირატესობა შემდეგ ტერმინებს:

1) უნდა იყოს ავადმყოფობა სიდამპლე. 2) სასუნთქი ფორები. 3) ბარტყი. 4) უჯრები. 5) სადედე უჯრები. 6) ყვავილის მტვერი. 7) სამთლის ქერტლი. 8) დინდგელი, 9) განაყოფიერებული და გაუნაყოფიერებული. 10) პარკი. 11) მოსვენების ხანა. 12) სამამლე დედა. 13) მოგროვილ ყვავილის მტვერს დაერქვას ჭეო. 14) მემუსიკენი. 15) გასაწმენდი გამოფრენა. 16) ქართლში ხარაბუზას უწოდებენ მწერს. (საქონლის დიდ ბუზს). 17) ბზუილია-ზუზუნი. 18) მოდგმის. 19) თაფლ მომცემი მიდამოს არჩევა. 20) სამზეური. 21) შუა ადგილას. 22) ლატანი. 23) მოსაშენებლად. 24) დასადგმელი. 25) ჩასადგამი ფიცარი. საგდოლი. 26) გაშინჯვა. 27) გაიბანდოს მავთულით. 28) პირველი ნაყარი. 29) სანაყრე. 30) სანაყრო ხურომა. 31) მოსაშენებელი დედა. 32) მავთულის ბადე. (проволочная сѣтка). 33) ღილაზე მფრინავი ფუტკრები. 34) უცეცხლო თაფლი ანუ ფიჭიანი თაფლი (сотовый медъ). 35) ფიჭა (сушь, вощина) 36) შაქრის კვერები. 37) ნაყრობის ხუტური. 38) ციბრუტა.

ვანო სამხარაძე.

# ხმა ახალციხიდან

13 ნოემბერს საღამოს 7 ნახ. საათზე, სოფ. წნისში, ბერძენი გიორგი ნიკოლაევის ბაღიდან, სამმა შეიარაღებულმა შანტაჟისტმა **გაიტაცეს** ბაღის პატრონისავე 18 წლის შვილი ალექსი და ეტლით წაიყვანეს ბორჯომისაკენ. გზაში ეტლი გასტეხოდათ, საცალ-ფეხო გზით ტყეში შეუხვევიათ და ისე მისულან ბორჯომს იქით ხშირს ტყეში ნაშუაღამევის 4 საათზე. იქ სხვა შეიარაღებული ამხანაგებიც დახვედრიან, ამათ წერილი დაუწერინებიათ თავის მამასთან, რითაც რამდენიმე ათას მანეთს ათხოვინებდნენ თავის-თავის გამოსასყიდველად. მათდა სამწუხაროდ ვიდრემდის წერილს გაუგზავნიდნენ, ალექსიმ მოახერხა გამოქცევა და თავის დახსნა.

მეორე დღეს, როდესაც ეძინათ შანტაჟისტებს და ერთი კი ყარაულად მიუჩინეს ტყვეს, ტყვე შეეცადა გამოსაქცევად. სწორედ იმ დროს, როდესაც ყარაული და ტყვე შეშას ჰკრებდნენ ცეცხლზე დასამატებლად, ტყვეს დაუნახავს ძეწნაში ერთი ბილიკი, ყარაულიც ცოტა მოშორებით ყოფილა. დაუკრავს ფეხი და სირბილით რამდენიმე ვერსის შემდეგ გასულა შარა გზაზე, სადაც მაძებარი პოლიციის დარაჯებს შეხვედრია და მათ უხსნია თავი შანტაჟისტებისაგან. მაძებარ პოლიციას დაუწყია ყაჩაღების ძებნა კვალ და კვალ, მაგრამ ვეღარ მიუგნია შანტაჟისტებისთვის, რადგან დამალვებიათ. მეეტლე შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

18 ნოემბერს საღამოს მეათე საათზე, სამოქალაქო ბაღში რევოლვერით თავი მოიკლა პოდპორუჩიკმა აბულაძემ. მიზეზი თავის მკვლელობისა გამოურკვეველია.

ამ დღეებში მოხდება დასაარსებელი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის ასარჩევად საზოგადო კრება. არჩეული გამგეობა იშუამდგომლებს ტფილისის მთავარ გამგეობისადმი, დაამტკიცებინოს ადგილობრივი განყოფილება, რადგანაც 30 წევრი უკვე შესდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი ადგილობრივი განყოფილების დასაარსებლად. განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ დ. ყარიჭის ხიზიტაშვილს ასარჩევენ. [illegible]

# სასამართლო

### მღვდლის ს. ბ. ანდღულაძის საქმე.

26 ნოემბერს ტფ. სასამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საქმე ბლაღოჩინის ს. ბ. ანდღულაძისა. სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურის რევიზიამ აღმოაჩინა, რომ გურია-სამეგრელოს საეპარქიო სასწავლებლო საბჭოს ოზურგეთის განყოფილებაში გაფლანგულია სახაზინო ფულიდან 2629 მ. და 19 კაპ. ამის გამო სამართალში მისცეს საბჭოს თავმჯდომარე და ხაზინადარი მღვდელი ანდღულაძე, რომელმაც წინასწარ გამოძიების დროს განაცხადა, რომ ფული მართალია დახარჯულია, მაგრამ ეს მოხდა მისი გამოუცდელობით და აურებელი საქმეების გამო, რომელიც მას ჰქონდა მინდობილი, ქუთაისის ოლქის სასამართლომ დაადგინა სამსახურიდან გადააყენოს მღვდელი ანდღულაძე და გადაახდევინოს თანხა, რომელიც გაფლანგული აღმოჩნდა. თუ ამ ფულის გადახდას ვერ შესძლებს ერთის წლით ციხეში უნდა ჩაჯდეს. ეს განაჩენი ბრალდებულმა ტფ. სასამართლო პალატაში განასაჩივრა. პალატაში მას იცავდა ნაფ. ვექილი კაჩუხოვი, რომელმაც აღნიშნა ანდღულაძის უანგარო მოღვაწეობა წინად და ამტკიცებდა, რომ ბრალდებული არ არის დამნაშავეო.

დამცველები ამტკიცებდნენ, რომ ანდღულაძეს ფული არ გაუფლანგავს, მხოლოდ ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია საქმისათვის, რამაც გამოიწვია გადამეტებული ხარჯებიო. ამიტომ მათ აღძრეს შუამდგომლობა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი გაბათილებულ იქმნეს და ბრალდებული განსაჯონ სასჯელთა კან. დებულებათა 351 № 357 მუხ. ძალით. სასამართლო პალატამ ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბრალდებული დამნაშავედ სცნო; გადაუწყვიტა სამსახურიდან გადაყენება და ჯარიმა 10 მან., თუ ჯარიმის გადახდას ვერ შესძლებს ციხეში 2 დღით უნდა ჩაჯდეს.

ტფ. სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულოში, წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით, დღეს, 27 ნოემბერს განხილულ იქნება პოლიტიკური საქმეები: 1) გაზ. „ბაქოს" რედაქტორის ქრისტეფორე ვერმიშევისა; და 2) ნოე ჟორდანიასი კან. კრებ. 129 მუხ.

# მოწერილი ამბები

**ქ. გორი (ნოქართა-შეგირდთა ცხოვრებიდან).** ამ სამი-ოთხი თვის წინად როგორც იქმნა ვეღირსენით ნორმალურ დასვენების შემოღებას. 12 ივლისიდან პოლიციამ გამოაცხადა—დუქნები უნდა დაიკეტოს საღამოს ექვს საათზე და გაიღოს დილის რვაზეო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ცოტათიღა მაინც არის ამოვისუნთქებდით თავისუფლად, დუქნის კედელთ შორის დახშულ გონებას ცოტა საზრდოს მაინც მივაწვდიდით, წავიკითხავდით რამეს, წარმოდგენაზე წავიდოდით, ვიგრძნობდით ჩვენც ადამიანობას. ასეც იყო, მაგრამ... ჩვენი სიხარული ფრიად დღემოკლე აღმოჩნდა. განგვირისხდნენ, აგვიბუნტდნენ აღები, მეხი და რისხვა დაგვატეხეს თავს, საყვედურს უთვლიდნენ სახელმწიფო სათათბიროს ასეთ „უსამართლო" წესისათვის. შეიკრიბნენ ქალაქის სამმართველოში, ითათბირეს და ერთხმად დაადგინეს—არ გვინდა ასეთი წესი, არ გვინდა დასვენებაო. თუმცა ადმინისტრაცია პირველად ფხიზლად იყო, აჯარიმებდა კიდეც, ვინც დროზე არ დაკეტავდა, მაგრამ... მასაც მოეწყინა ჩიჩინი, დავიდარაბა და... აღებმა გულისწადილს მიაღწიეს, ნელ-ნელა, თანდათანობით მოუსამარეს ნორმალური დასვენება და ძველი დრო ისევ დაიბრუნეს.

ნოქარი.

# სხვა და სხვა ამბავი

### „როსია" იმუქრება.

როგორც მოგეხსენებათ სათათბირომ მიიღო მესამე სათათბიროს ნაკაზი, სენატის მიერ დაწუნებულ მუხლებით. ამის გამო ოფიციოზმა დასტამბა წერილი, საცა სათათბიროს დათხოვნას ემუქრება.

### მთავრობის დეკლარაცია.

კოკოვცევი მეოთხე სათათბიროში დეკლარაციით ხუთშაბათს აპირობს გამოსვლას.

### მაკაროვის გადადგომა.

შინაურ საქმეთა მინისტრი თავის თანამდებობას თავს ანებებსო. იგი მაშინ გადადგება, როცა სათათბიროს საჭირო განმარტებას მისცემს არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე.

### დეპ. სკობოლევი.

მეოთხე სათათბირომ განიხილა დეპუტატთა რწმუნებულება სკობოლევის რწმუნებულება სათათბირომ სადავოდ იცნო და მისი ყოველმხრივი განხილვა მიანდო შეპკინს.

### სალამოს აკრძალვა.

კიევის ებრაელ სტუდენტებს ადმინისტრაციამ ნება არ დართო სალამო გაემართათ.

### სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თხოვნა.

ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაიბარა სტუდენტების წარმომადგენელნი და სთხოვა თავი შეეკავებინათ უკიდურესობისაგან დანიშნულ პროფესორ ბრანდის მიმართ. ეს ექვსი თვეა, რაც მის ლექსიების დროს აუდიტორია ცარიელია.

## ბიბლიოგრაფია

1

ოლივერ უორდროპმა გამოგვიგზავნა ინგლისურს ენაზე ახლად დაბეჭდილი წიგნი ვინმე დოვლინგისა აღწერილობა საქართველოს საეკლესიო ისტორიისა (Sketches of Georgian Church Nistoru).

სულ თავში წიგნისა ჩართულია თამარ მეფის წმ. სახე ქვე წარწერით: queen Tamara the gz.al=მეფე თამარ დიდი. შემდეგს ცალკე გვერდზევე 17 სტრიქონოვანი ლექსი ილია ჭავჭავაძისა.

„O Georgia, thou pearl and ornament of the world...“

შემდეგ მიდის შენიშვნები, წინასიტყვაობა. ტექსტის წინ ჩართულია ქართველ წმიდანების კალენდარი: აბო 8 იანვ., ნინო 14 იანვ., ანტონი 19 იანვ., დავით აღმაშენებელი 26 იანვ. და სხვ.

თვით აღწერილობა ანუ ისტორია დაყოფილია ეპოქებად: ივერია ღვთისმშობლის წილხდომილია. ანდრიას მოღვაწეობა, სვიმონ ზილოტი, კლიმენტოს პაპი, ელიოზ ებრაელი.

წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი.

მცხეთის ანტიოქიის პატრიარქი და საქართველო. ქართველთ ეკლესია იერუსალიმში. სომეხთა და ქართველთ ეკლესიები. ტფილისი. 13 ასურთა მამანი. ქართული ბიბლია. წმ. შუშანიკი. ათონის ივერთა მონასტერი. ქართ. ათონური ბიბლია. ქართული ხელ-ნაწ. ივერიის წიგნთსაცავში. ქართველების მონაწილეობა საჯვაროსნო ომში. ბაგრატიონთ სამეფო სახლი. თამარ მეფე დიდი. მეფე რუსუდან. მონდვილ იოანე შესახებ წმ. გიორგისა და ქართველთა. ფლორენციის კრება. წმ. ქეთევანი. ვახტანგ VI. ერეკლე II. გიორგი XII. —დამატებებში ცნობებია შესახებ ქართველთა ეკლესიისა, კვიპროსს, ხურო-მოძღვრებისა და სხვ.

წიგნი მეტად ფაქიზად გამოცემულია და მისს შინაგან ღირსებას, ინგლისურის უცოდინრობისა გამო, სამწუხაროდ ჩვენ ვერ ვაფასებთ.

2.

ეს-ეს არის მოგვივიდა ახალი შრომა კორნ. კეკელიძისა—„Свѣдѣнія грузинскихъ историковъ о преподобномъ Максимѣ Исповѣдникѣ“. ეს წიგნაკად გადმობეჭდილია კიევის სასულიერო აკადემიის შრომიდან. სულ 77 გვერდია. მაქსიმე მოღვაწეობდა მეშვიდე საუკუნეში. განითქვა როგორც ჭეშმარიტი მოძღვარი მართლმადიდებლობისა, როგორც რიტორი და ფილოსოფოსი. ქრისტიანობის მტრებმა იგი შეიძულეს, სტანჯეს, ენა და ხელები დასჭრეს და „გამოაციმბირეს“ სამეგრელოში. მასთან ერთად იტანჯნენ მაქსიმეს მოწაფეები ანასტასი და ანასტასი დიაკონი. აქაც გაცხარებით მუშაობდა წმ. მაქსიმეს სიტყვით და წერით. ხელ-მოჭრილს მკლავზე კალამს იბამდა და ისე სწერდა. იგი შრომობდა ციხე გურს და იქვე გარდაიცვალა 13 აგვისტოს 662 წელს 90 წლისა. დაასაფლავეს წმ. არსენის მონასტერში. მისი ეკლესია მურ-ციაგერის ახლოსაა, დანგრეულია, მაგრამ დღესამდე იზიდავს მრავალს მლოცველს.

მამა კორნელის თხზულება წარმოადგენს საქართველოს ერთ ხანას მშვენიერ სურათს და უფრო მეტი ფასი ედება, რომ გადმობეჭდილია გავრცელებულს სამეცნიერო ჟურნალში.

მ. ჯანაშვილი.

# ბალკანეთის ომი

### დეპეშები

26 ნოემბერი.

### საზავო მოლაპარაკება

### სტრეიტის ნაცვალი.

**ათინა.** ჰფიქრობენ დანიშნონ სტამბოლის ელჩი გრიპარისი ვენაში. სტრეიტის მაგივრად, სანამ უკანასკნელი საზავო მოლაპარაკებისთვის ლონდონში დაჰყოფს.

### მაკედონიის ავტონომია საზავო მოლაპარაკებაში.

**სტამბოლი.** პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტი ებაასა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ნურადუნგიანს. ნურადუნგიანმა სთქვა, საზავო მოლაპარაკებას საფუძვლად დაუდებთ მაკედონიის ავტონომიას, რასაც ომის წინ ბალკანეთის სახელმწიფონი მოითხოვდნენო.

### სერბიის რწმუნებული ნოვაკოვიჩი.

**ბელგრადი.** სერბიის რწმუნებული ნოვაკოვიჩი ვენაში წავიდა, საიდანაც ლონდონში წავა. პარიზში ნოვაკოვი პუანკარეს ინახულებს.

### წინასწარი თათბირი საზავო მოლაპარაკებაში.

**ბელგრადი.** გაზეთების ცნობით ბალკანეთის სახელმწიფოთა დელეგატები: სანამ ოსმალეთის დელეგატებთან მოლაპარაკებას დაიწყებენ წინასწარ თათბირს გამართავენ ოსმალეთის საზღვრების გამოსარკვევად და დაპყრობილ ადგილების ერთმანეთში გასაყოფად.

### ხოლერის შესუსტება.

**სტამბოლი.** ხოლერა თან და თან სუსტდება.

### გაზეთებიდან.

### საზავო მოლაპარაკება.

ლონდონიდან იუწყებიან: ოსმალეთსა და მოკავშირეებს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყება ლონდონში 13 დეკემბერს, ახალი სტილით. თითოეული სახელმწიფო გამოგზავნის ორ ერისკაცსა და ერთსაც სამხედრო პირს. როგორც სჩანს, ბალჩესქიოში უკვე შეუმუშავებიათ ზავის უმთავრესი მუხლები.

### რა შთაბეჭდილება მოახდინა დროებითმა ზავმა ბულგარეთში.

სოფიიდან: დროებითმა ზავმა საერთო სრული კმაყოფილება გამოიწვია. იმედი აქვთ, რომ ლონდონის მოლაპარაკებაც, რომელიც სრული მშვიდობიანობის დასამყარებლად იკრიბება, აგრეთვე სასურველად დაგვირგვინებს მოკავშირეთა საქმეს.

### სერბიაში.

ბელგრადიდან: დროებით ზავის ამბავმა სანატრელი შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი სერბია დაიმედებულია, რომ სრული მშვიდობიანობაც მალე ჩამოვარდება, თუმცა, თუ საჭირო იქნება, მთელი ქვეყანა ისევ დადგება ფეხზე ჩათალჯასთან ბულგარელების დასახმარებლად. მართალია, სერბია მშვიდობიანობას ესწრაფვის, მაგრამ იგი ყოველთვის მზადაა, დაუღალავის ენერგიით დაიცვას არსებული მდგომარეობა, თუნდაც უფრო საშიში მტრის წინააღმდეგ მოუხდეს ბრძოლა.

### ჩერნოგორიაში.

ცეტინიედან: დროებითი ზავის ამბავმა მეტად დამაღონებელი გავლენა იქონია ჩერნოგორიის ჯარზე, რომელიც წუთი-წუთზე ელოდა ქ. სკუტარის საერთო იერიშის ბრძანების მიღებას. საზოგადოებრივი აზრიც უკმაყოფილოა, რადგან საქმის გართულებისა ეფიქრებათ.

### ოსმალეთში.

სტამბოლიდან: „ბერლინ. ტაგებლ.“ კორესპონდენტისთვის დიდ ვეზირს ქიამილ-ფაშას უთქვამს:

— ყველაფერში დამნაშავე დიდი სახელმწიფოებია. იგინი გვარწმუნებდნენ, რომ ომის დაწყების ნებას არავის მისცემთო; როდესაც ომი ასტყდა, ღვთის ანაბარად მიატოვეს ოსმალეთი. სახელმწიფოებზე მინდობილმა, შინაური უთანხმოებით აწეწილ-დაწეწილმა, იტალიის ომით დაღლილმა ოსმალეთმა თავ-თავიან სახლებში გაუშვა სათადარიგო ჯარი. ომი მოულოდნელად დაგვატყდა თავს, მაგრამ ჯერ ყველაფერი როდია დაკარგული. დროებითი ზავი ჩვენის ნებაყოფლობით ჩამოვაგდეთ. ლონდონის კონფერენცია და მშვიდობიანობის დამყარება ახლო მომავალში მოხდება.

### საბერძნეთის გამოყოფვა.

სტამბოლიდან ოფიციალურად იტყობინებიან: ომი მხოლოდ საბერძნეთთან გრძელდება. საბერძნეთის წარმომადგენლებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ იგინი ერთი სიტყვითაც კი არ შესცვლიან თავის პირობას იანინისა, კუნძ. ხიოსისა და მიტილენესა, ოსმალეთის ნაპირების ბლოკადისა და აგრეთვე ქვანახშირის შეტანისა ფლოტისთვის. დიდი ხნის თათბირისა და კამათის შემდეგ, ბერძნები მაინც თავის მოთხოვნილებას იცავდნენ. მაშინ ჩამოვარდა დროებითი ზავი ოსმალეთისა, ბულგარეთისა, სერბიისა და ჩერნოგორიის მხრით. საბერძნეთი ომს განაგრძობს.

### მიზეზი საბერძნეთის გამოყოფვისა.

ინგლისური გაზ. „ტაიმსი“ იუწყება საბერძნეთმა უარი განაცხადა დროებითი ზავის ხელისმოწერაზე მოკავშირეთა თანხმობითა და მათი ინტერესების დასაცავად, რადგან დარდანელის ბლოკადის მოხსნა ხელს შეუშლიდა ოსმალეთის მზადებისათვის თვალყურის დევნებას. ახლა მოკავშირენი უზრუნველყოფილნი არიან ამ მხრით ოსმალეთი ვეღარ მოახერხებს მალულად ძალების შემოკრებას.

### ვალონის ზარბაზანს უშენენ.

რომიდან იუწყებიან: საბერძნეთის ორმა ნაღმოსანმა 22 ნოემბერს სასტიკი სროლა აუტეხა ქ. ვალონას (ალბანეთის ნავთსადგურია). ერთი ყუმბარა ავსტრიისა და იტალიის საკონსულოთა შუა დაეცა. ესკადრის უფროსმა განუცხადა ქალაქის წარმომადგენლებს, რომ ნაბრძანები აქვს ალბანეთის სანაპიროების ალყის შემორტყმა. ისმაილ-ქემალ-ბეიმ საპროტესტო დეპეშები გაუგზავნა დიდ სახელმწიფოებსა და საბერძნეთს.

### ოსმალეთის ფლოტი.

სტამბოლიდან იტყობინებიან: ოსმალეთის ფლოტს, რომელიც ერთი ჯავშნოსანისა, 6 ნაღმოსნისა და 5 კონტრ-ნაღმოსნისაგან შესდგება, დარდანელს წასვლა ებრძანა, რათა მოიგერიოს საბერძნეთის ფლოტის მოსალოდნელი იერიში.

### ბალკანეთის კავშირი ირღვევა.

საერთო მტერმა ბალკანეთის ყველა სახელმწიფო ფეხზე დააყენა, იარაღი ხელში აღებინა, მჭიდრო კავშირით შეჰკრა და ერთსულოვნად აამოქმედა. ფიცხელი ომი მისწყდა, მხოლოდ აქა-იქ თუ ისმის ზარბაზნის გრიალი; ბალკანეთის სახელმწიფოებმა თითქოს გაასწორეს ანგარიში ხმელეთთან, ეხლა შინაურებში დატრიალდნენ და ნადავლს დაუწყეს გაყოფა. ამ გაყოფაში თავი იჩინა უკმაყოფილებამ და უთანხმოებამ ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის. ეს ცარიელი სიტყვა არ არის, ამის სინამდვილეს გვიკარნახებს. უთანხმოება და მოურიგებლობა ჰსუფევს ბულგარებსა და ბერძნებს შორის. სადაო საკითხია არა მარტო ის თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს სალონიკი; არამედ ისიც თუ პირველი ვინ შევიდა ამ ქალაქში. ბულგარეთის გენერალი ამტკიცებს — სალონიკი აღება ბულგარეთის ჯარის გმირობაა: ბულგარები ებრძოდნენ ოსმალებს და ქალაქის დანებება მათ აიძულეს ოსმალებსო, იმ დროს, როდესაც ბერძნები 17 კილომეტრის მანძილზე იყვნენ და ოსმალებთან მოლაპარაკების გამართვას აპირობდნენო.

რა უყოთ, რომ ბერძნებმა უფრო ხელსაყრელი პირობები მისცეს ოსმალებსო, განაგრძობს გენერალი და ისინიც მათ პირობას დასთანხმდნენო. ბულგარებმა იარაღით გაიმარჯვესო და ბერძნებმა კი გამარჯვება თავისდა სასარგებლოდ გამოეყენენო ათინაში კიდევ სულ სხვას ამბობენ: ბერძნები ქალაქზე 12 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდნენ და ბულგარებიკი 50 გენერალ თეოდოროვმა მაშინ აუტეხა ქალაქს ყუმბარების სროლა, როცა ქალაქი უკვე დანებებული იყო. გარდა ამისა თეოდოროვმა მშვენივრად იცოდა ქალაქის დანებების ამბავი, მაგრამ მაინც ყუმბარები დაუშინაო.

უთანხმოება აღმოცენდა სერბიასა და საბერძნეთს შორის. მონასტერის გამო ბერძნები პრეტენზიას აცხადებენ: სერბიელებზე არა ნაკლები გმირობა გამოიჩინეს ბერძნებმა მონასტერის აღების დროს. ამას რომ მიუმატოთ ბერძნების დროებითი ზავის საკითხში დამოუკიდებელი მოქმედება სურათი სხვანაირად მოგვეჩვენება და უნებლიე შიში აღგვიძრავს.

# ბალკანეთი და ევროპა

### დეპეშები.

### ყალბი ცნობა.

**სოფია.** მმართველთა წრეები აბაილებენ ხმას, ვითომც რუსეთმა ხელი შეუშალა მუქარით ბულგარეთს სტამბოლის დაპყრობაო. ეს ცნობა ჭეშმარიტებას მოკლებულია და ბოროტის განზრახვით არის გავრცელებულიო. ბულგარეთმა მოლაპარაკება გამართა დროებითი ზავის თაობაზე ნაზიმ-ფაშის დაჟინებულის თხოვნითო.

### სამთა კავშირთა განახლება.

**რომი.** სამთა კავშირის უეცრივ განახლების გამო „ჯიორნალე-დ'იტალია“ მიზეზის ძიებაში შედის, თუ რად დააშურეს სამთა კავშირის განახლებაო. თვითონვე იძლევა პასუხს ალბად იმიტომ, რომ საზავო მოლაპარაკების დროს სამი სახელმწიფო მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნიო. არც იტალიისათვისაც არის ხელსაყრელიაო, დასძენს გაზეთი, თუმცა იგი არავის თავდასხმას მოელის, მაგრამ ისიც ბევრია—იტალია რომ მარტოდ არა ჰგრძნობს თავსო.

### სეფე სიტყვა.

**ბუხარესტი.** პარლამენტის გახსნისას წარმოითქვა სეფე სიტყვა. სიტყვაში აღნიშნული იყო რუმინიის მშვიდობის მოყვარე პოლიტიკა და ის ნდობა, რაიც რუმინიამ ევროპისგან დაიმსახურაო. რუმინიის როლი ევროპის ფერხულში ღირსშესანიშნაო. ბალკანეთის კრიზისის გადაწყვეტაში რუმინიის სიტყვას დიდი ფასი აქვსო. მთავრობა ეცდება გაამართლოს ხალხის ნდობა და შესაფერ წუთს მის და სასარგებლოდ იმოქმედებსო.

### პოლონელ დეპუტატთა საერთო კრება.

**[illegible].** ლვოვში მოხდა რეიხსტაგის დელეგაციის სეიმის პოლონელ დეპუტატის საერთო კრება. კრებამ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა; პოლონელთა კლუბი დარწმუნებულია ჩვენ მოუფიქრებელ ნაბიჯს არ გადავდგამთ და მშვიდობიანის და გონიერ მუშაობით ხელს შევუწყობთ პოლონელ ხალხის ზნეობრივ და ფიზიკურ წარმატებას. კლუბის აზრით, მთლად პოლონელი ხალხი ერთგული იქნება იმ მონარქისა, ვისაც ერთგვარად აქვს ნაგრძნობი ჩვენი გრძნობა, ვინც ჩვენ ეროვნული უფლებრწყნარებს და განუსაზღვრელის ობით გვეკიდებაო.

### „მცირე“ კონფერენცია

პეტერბურგიდან იუწყებიან: გრეის წინადადებამ ელჩთა კონფერენციის მოწვევის შესახებ ოფიციალური მოლაპარაკების ხასიათი მიიღო. ამჟამად სახელმწიფოთა შორის თათბირია გართული, თუ სად და როდის მოიწვიონ ეს „მცირე“ კონფერენცია, როდესაც ეს საკითხი გადასწყდება, სახელმწიფოები კონფერენციის მონაწილეთა კომპეტენციას გაარკვევენ. ჰფიქრობენ, რომ თათბირი ლონდონში მოხდება იმ დროს, როდესაც მეომართა წარმომადგენლების სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყება. თუ ამ „მცირე“ თათბირმა გაამართლა სახელმწიფოთა იმედი, შესაძლებელია, შემდეგ [illegible] კი მოიწვიონ ევროპის საერთო კონფერენცია.

### „სტატუს-კვოს“ დაგვიანებული დამცველნი

ოსმალე ელჩები ბერლინსა, ვენასა და რომში ერთგვარის სიტყვებით აქებენ ოსმალეთის მთავრობას:

„სამთა კავშირის სამინისტროებმა (გერმანია, ავსტრია, იტალია) გადასწყვიტეს დაიცვან „სტატუს-ქვო“ ევროპის ოსმალეთში, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება ხვალინდელი მდგომარეობა—დაემხობა ადრიანოპოლი, თუ არა; დამყარდება მშვიდობიანობა, თუ არა—რადგან ევროპის ოსმალეთის არსებობა სამთა კავშირის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს შეადგენს. სამთა კავშირის პროგრამის მეორე პუნქტს ალბანეთის ავტონომია შეადგენს.

### ავსტრიის საომარი სამზადისი.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან: სამხედრო უწყებამ დაიქირავა დუნაის გემ-ნავები ჯარის გადასაყვანად, რაც მეტად აძნელებს სავაჭრო მიმოსვლას. სადგურებზე დიდძალი საქონელია თავმოყრილი, რადგან მთავრობამ მთელს ვაგონებს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს მოუყრია თავი. სამხედრო სამინისტრომ 250.000 ქვაბი შეუკვეთა ჯარის საჭიროებისათვის ბერნდორფის ქარხანას.

### თათბირი ცარსკოე სელოში.

„რუსკოე სლოვოს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აწერენ ცარსკოე სელოში მომხდარ სამხედრო თათბირს, რომელიც წარსულ ოთხშაბათსა და ხუთშაბათს მოხდა და რომელსაც დაესწრნენ: სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი, გენერალური შტაბის უფროსი ჟილინსკი, მთავარი შტაბის უფროსი მიხნევიჩი, გვარდიის კორპუსის უფროსი ბეზობრაზოვი, მოსაზღვრე ჯარის ცალკე კორპუსის უფროსი და კიევის სამხედრო ოლქის უფროსი ივანოვი. 22 ნოემბერს პეტერბურგში, სახაზინო რკინის გზათა სამართველოს უფროსის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ რკინის გზების უფროსები: სამხრეთ-დასავლეთისა—შმიტი, ალექსანდროვისა—ვოსკრესენსკი, ჩრდილო-დასავლეთისა—ვალუევი, პოლესიისა—მოისეევი. ირჩეოდა საკითხი, თუ რამდენი მატარებლის გაშვება შეიძლება ამ გზებზე.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარეთ

27 ნოემბერი.

### ჩინეთის ძლიერი უკმაყოფილება.

**პეკინი.** რუსეთის საწინააღმდეგო პროკლამაციები გავრცელებული. ელჩმა პროტესტი განაცხადა. ოფიციოზი აკრიტიკებს რუსეთის პოლიტიკას. გაზეთი სწერს: ჩინელები რუსეთის სიძულვილს გულში ჩაიმარხავს და არას დროს დაივიწყებსო. დადგება დრო, როცა რუსეთი შეინანიებს თავის ცოდვას—ჩინეთის ხალხის შეურაცხყოფასო.

### იაპონიის ახალი კაბინეთი.

**ტოკიო.** ტერაუჩის უარმა ახალი კაბინეთის შედგენა ფრიად გაართულა. მინისტრ-პრეზიდენტად ასახელებენ მაცუკატას. იგი შესანიშნავი მცოდნეა სეფინანსო საკითხებისა და ჯარის გაძლიერების წინააღმდეგი.

### დანევი ბუხარესტში.

**ბუხარესტი.** დანევი მოვიდა

### ხარჯთ-ამკრები ინსპექტორი.

**თავრიზი.** სოუჯ-ბულაგიდან იტყობინებიან: ქურთებმა ურმიის ტბის მახლობლად მოკლეს ბელგიელი ხარჯთ-ამკრები ინსპექტორი დიუმე.

### რუსეთი

### პარტიები სახელმწიფო სათათბიროში.

**პეტერბურგი.** საბოქაულო ნაწილმა გამოაქვეყნა მეოთხე სათათბიროს დეპუტატთა პარტიული დადგენილობა: მემარჯვენე—63, ნაციონალისტი—90, ცენტრალი—34, ოქტომბრისტ—65, მუსულმანი—7, პოლონელ—კოლოსნევრი—15, პროგრესისტი—45, კადეტი—15, პროგრესისტი—45, კადეტი—59, შრომის ჯგუფელი—10, სოციალ-დემოკრატი—15, უპარტიო—9.

### ცეცხლი.

**კოსტრომა.** სამ სართულიან სახლს ვარშავის უბანში ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა მუშა და პატარა ქალი. ბევრი დაშავებულია.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, ქართული დრამატიული დასი დამსახურებულ მსახიობქალს ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილს უმართავს ბენეფისს. ქ-ნი ჩერქეზიშვილი 1886 წელს გამოვიდა სცენაზე და მას შემდეგ ერთავად ემსახურება მას. იმედია ქართული საზოგადოება ყურადღებით მოეკცევა ამ ბენეფისს და წარმოდგენას დაესწრება.

**სამუსიკო დილა.** კვირას, 25 ნოემბერს, ახალი კლუბის დარბაზში გაიმართა კონცერტი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისა. კონცერტს დაესწრნენ მოსწავლეთა მშობლებნათესავები და გარეშე საზოგადოებაც. კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

**ზუბალაშვილის სახალხო სახლი.** 29 ნოემბერს, ქართ. სახ. წარ. მმარ. წრის **ქ. გ. ფოცხვერაშვილის** მეთაურობით გაიმართება უკანასკნელად დიდი ქართული სახალხო კონცერტი, რომლის მიზანია სახალხო სახლის საზოგადოებას მისცეს შეძლება შედარებით იაფ-ფასებში მოისმინოს ჩვენი ნიჭიერი მუსიკოსის ნაწარმოებნი, რისთვისაც მოწვეულია გაძლიერებული ქალ-ვაჟთა გუნდი და „ახალი კლუბის“ ორკესტრი.

აგრეთვე მონაწილეობს მომღ. ქალი ქ-ნი პრესინსკისა, რადგანაც ხარჯი ბევრად აღემატება შემოსავალს პარტერის პირველი რიგების ფასი აწეულია 1 მან. დანარჩენი ადგილები როგორც ყოველთვის 5 კ. 50 კ.

4 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება „უმუშევარნი“.

**ზუბალაშვილის სახალხო სახლი. ბენეფისი ნ. გოცირიძისა.** დამსახურებულ მსახიობის, ნიკო გოცირიძის ბენეფისმა ორშაბათს, 26 ნოემბერს, სახალხო სახლში, აუარებელ ხალხს მოუყარა თავი. ბილეთი თითქმის აღარ იშოვებოდა; ყველა მისწრაფოდა პატივი ეცა ნიჭიერ და სიმპატიურ მსახიობისათვის და მისი თამაშობითაც დამტკბარიყო. წარმოდგენილი იყო „მსხვერპლის“ პირველი მოქმედება, „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ და „ხანუმას“ მეორე და მეოთხე მოქმედება. სამივე პიესაში მთავარი როლი გოცირიძისა არის, ამ როლებში იგი თავის-თავს მეფედა ჰგრძნობს, თავისი დაკვირვებული და ცოცხალი თამაშით მაყურებელთ განუსაზღვრელ სიამოვნებას აგრძნობინებს. ჩინებულად ჩაატარა გოცირიძემ საქუას როლი. კრუტოუზდოვის (ტაინი სოვ. სიზ.), და აკოფას (ხანუმა), როლები ხომ მსახიობმა თვალწარმტაცად შესრულა—აქ გოცირიძე ნამდვილი ხელოვანი იყო. ვირტუოზი; ჭეშმარიტად ნიკო გოცირიძე დაუფასებელი განძია ჩვენი თეატრისათვის, ღირსეული მემკვიდრეა თვისი მასწავლებელ ვასო აბაშიძისა.

სცენის მოყვარეთა გარდა, წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: ვ. გამყრელიძე, პიერეტა და ე. ჩერქეზიშვილი. გამყრელიძემ თავისებურად დინჯად და დარბაისლურად შესრუ-

ლა გაბუას როლი (მსხვერპლი). მისმა სიტყვებმა ბევრს მოჰგვარა თვალებზე ცრემლი. ქ-ნმა ჩერქეზიშვილმა ხანუმას როლში, ხალხი ბევრი აცინა. მოხდენილად ჩაატარა პიერეტამ სონას როლი (ხანუმა).

სახალხო სახლი ცოცხალი მაგალითია იმისი, თუ რამდენი შეუძლიან მუყაით და ერთსულოვან მუშაობას.

წუწუნავას ხელში თვითოეული მსახიობი, რა გინდ უმნიშვნელო როლს არ ასრულებდეს იგი, სცენაზე სცოცხლობს, აუცილებელ ფიგურად გეჩვენება, იგი მაყურებელთა თვალში ცენტრად ჰხდება ურომლისოდაც პიესას მთლიანობა დაეკარგება.

სწორედ ამით აიხსნება ის ერთსულოვნება, სახალხო სახლის სცენაზე რომ სუფევს. ეს ერთსულოვნება, საქმის სიყვარული, შეგნება თვისი პასუხისმგებლობისა სჩანდა ყოველ მსახიობის თამაშში 26 ნოემბერს.

სცენის მოყვარეთ ჯეროვანად დააფასეს თვისი ამხანაგის ნიჭი და პატივი სცეს იმით, რომ არცერთ მათგანს უხერხული თამაშით არ დაურღვევიათ ნიკო გოცირიძის დღესასწაულის ჰარმონია.

მობენეფისემ ბევრი საჩუქარი მიიღო პატივისმცემელთაგან. ტაშის ცემას საზღვარი აღარ ჰქონდა. X.

**ნაძალადევის თეატრი.** შაბათს, 24 ნოემბერს, წარმოადგინეს ა. ცაგარელის ცნობილი კომ. „ციმბირელი“.

ამ პიესის მომქმედ პირის, მაშიკოს, სიტყვები: „აირია მონასტერიო“—სწორედ რომ ამ საღამოს წარმოდგენაზე ითქმის, რადგანაც ყველა მომქმედნი, როგორც მოქმედებით, ისე ტანისამოსით, გრიმებითა და პარიკებით, არეულ დარეულები იყვნენ.

ციმბირელ ივანეს როლს ასრულებდა გ. სვიმონიძე, რომელიც, მოქმედებით, ახალგაზრდა ვაჟკაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე მოხუცებულს, იმ სიშორიდან ფეხით ჩამოსულს ციმბირელს.

გ. სვანაძე, მაზუთიანის როლში, სრულიად შეუფერებელი იყო.

ქ. აფხაზიშვილი მოხუცებულს დედაკაცს უფრო ჰგავდა ვიდრე მაზუთიანის ახალგაზრდა ქალს—ნარგიზას. ქ. ჭრელაევი (ვარო) ძალიან სუსტობდა. ამასთანავე შანტეკლერის კაბა ეცვა და პარიზული კულულები გაეკეთებინა. რასაკვირველია, ყველა ამ გარემოების მიზეზი რეჟისორის უყურადღებლობა არის.

მშვენივრად ასრულებდნენ ამ საღამოს თავის როლებს: ქ. კავთელი (მაშო) დაბ. კუდუხაშვილი (ნიკოლა). არა უშავდათრა: ქ. გოგაშვილისას (კალია-ციმბირელის მეუღლე) და გ. ფარეშიშვილს (სტეფან მაკარიჩი). ბ. გაბინაშვილი სრულიად არა ჰგავდა მეგობრისათვის თავდადებულს, ყარაჩოღელ პეტუას. სუსტობდა აგრეთვე ბ. მელიქიშვილი (კლესოვი). ხალხი წარმოდგენას ცოტა დაესწრო. **მიშო.**

**ქუთაისი.** საბავშო წარმოდგენები. ოთხშაბათს, 21 ნოემბერს, ქალაქის თეატრში დილის 12 საათიდან გამართულ იქმნა დაკლებული ფასებით საბავშო წარმოდგენა; წარმოადგინეს „პრინცი მელორე“ ოთხ. მოქმედებიანი პიესა ანდერსენის ზღაპრებიდან გადმოკეთებული, თარგმანი მ. ქორელისა. წარმოდგენას დაესწრნენ, როგორც ბავშები მშობლებიანად, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობა და გარეშე საზოგადოებაც. ჩვენმა მსახიობებმა თითოეული მოქმედება მშვენივრად ჩაატარეს, რითაც ბევრი აცინეს დამსწრენი, განსაკუთრებით ბავშების აღტაცებას და სიცილს საზღვარი აღარ ჰქონდა. საუცხოო იყვნენ მოხუცი მეფე, პრინცი ამედე (მელორე), მეფის ასულნი როზა და მარგარიტა, კეთილი ფერია, ბოროტი ფერია და ხუმარა. ნაშუადღევის ოთხი საათის ნახევარზე დამთავრდა წარმოდგენა და საზოგადოება მეტად ნასიამოვნები გამოვიდა თეატრის დარბაზიდან.

ელექტრო-თეატრ „რა იუმშიაც“ ამავე დღეს დილის 12 საათიდან საღამომდე მოწაფეთათვის გამართული იყო სურათების ჩვენება; აჩვენებდნენ „ბალკანეთის ომს“, ძველი საბერძნეთის ისტორიიდან „ტროას“ დარღვევას და ჩვენი მგოსნის აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის სურათებს; სხვა და სხვა სასწავლებლებიდან მასწავლებლების თანხლებით აუარებელი მოსწავლე მოაწყდა თეატრის დარბაზს. საზოგადოდ სურათები კარგი იყო, განსაკუთრებით „ტროიას“ სამეფოს დაცემიდან და „ფერხული“ აკაკის მოგზაურობიდან. ბევრი აცინა მოსწავლე ქალები „ფერხულში ჩაბმულ რაჭველი ქალების სურათებმა. მადლობის ღირსნი არიან, როგორც ქართული დრამატიული დასი, აგრეთ „რალიუმის“ მეპატრონენი ამგვარი გართობისათვის; კარგი იქნება, თუ თვეში ორჯერ გამართავენ ასეთ საბავშო წარმოდგენებს, რასაკვირველია ზნეობრივ შინაარსისას და დღისით, რადგანაც ეხლა წარმოდგენები ღამით გვიან იწყება და მოსწავლეებს სამოსწავლო მთავრობისაგან აღკრძალული აქვთ ღამე ბოდიალი, რაც სამართლიან განკარგულებად უნდა ჩავთვალოთ. ამასთანავე საჭიროა ასეთი საბავშო გასართობები გაიმართოს თეატრში და ელექტრო-თეატრში სხვა და სხვა დროს და არა ერთ და იმავე დღეს ყველგან.

**ლადო ბზვანელი.**

# ღია ბარათი

**ს.-პეტერ. უნივერსიტეტის ქართულ სათვისტომ. მოვალეებისადმი.**

ვინ არ იცის, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან საერთოდ ქართველი სტუდენტები და კერძოდ კი პეტერბურგის უნივერსიტეტისა. ჩვენი სტუდენტობა არ არის განებივრებული კერძო, გულუხვ შემოწირულებით, როგორც ეს მაგალითად რუსეთში ხდება, მაგრამ თვისი ღარიბი კასიდან, რომელიც საღმოების თუ სხვა რამე შემოსავლიდან ივსებოდა, გულუხვ დახმარებას უწევდა თავის წევრებს, როცა ისინი სტუდენტად იყვნენ. რომ გადაათვალიეროთ ქაღალდები, ნათლად დაინახავთ რა დიდი დახმარება გაუწევია მას ხელმოკლე წევრებისათვის. მაგრამ ისინი, რაკი უნივერსიტეტს თავს დააღწევენ, ივიწყებენ თავიანთ წმინდა, ზნეობრივ მოვალეობას, დააბრუნონ სესხად აღებული ფული, რომელიც მიეცათ მათ უპროცენტოდ. მრავალჯერ მიგვიმართავს ძათთვის შესაფერი თხოვნით, მრავალჯერ გაგვიხსენებია მათი ვალი (განა ეს საჭირო უნდა იყოს?), მაგრამ დღემდის „არსაიდან ხმა“ არ გვსმენია. ზოგი სათვისტომოს მოვალეთაგანი ჩვენში უკვე კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწეა, ზოგსაც „შემოსავლიანი ადგილი“ აქვს, მაგრამ ჩვენი სათვისტომო კი ავიწყდება. რა გზას უნდა დავადგეთ? ერთად-ერთი გზა ამ ხნობით მხოლოდ გახლავთ მათი სინიდისისადმი მიმართვა: იმედი გვაქვს, ყოველმა მათგანმა კარგად იცის, რამდენი ჰმართებს, და გრძნობს, რომ საჭიროა მოვალეობის ასრულება. იმედი გვაქვს, არ გვაიძულებენ, მივმართოთ სასამართლოს და ერთად, ან ნაწილ-ნაწილ გადაიხდიან თავიანთ ვალს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით, გამოვაქვეყნოთ მათი სახელი და გვარი, როგორც ქართულ, ისე რუსულ გაზეთებში. იმედია, სათვისტომოს გამგეობას ამ ზომამდე არ მიიყვანენ. ხოლო თუ არც ეს გასჭრის, მაშინ როგორც ზევითაც ვსთქვით, სასამართლოს უნდა მივმართოთ. ნუ თუ აგრე მალე ავიწყდებათ ხოლმე ჩვენს წევრებს თავიანთ მდგომარეობა, უნივერსიტეტის გათავების შემდეგ? განა ყოველივე კავშირი სწყდება ჩვენს შორის ამის შემდეგ? ეს არ გვგონია აგრე იყოს, და იმედი გვაქვს ასევე ჰფიქრობენ ჩვენი ყოფილი წევრებიც.

ყოველივე მიწერ-მოწერა, ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ მისამართით:

**Петербургъ В-о 6 линія д. № 41, кв. 28, Александру Залдастанову.**

**პეტერ. უნივერს. ქართულ სათვისტომოს გამგეობა.**
თავმჯდომარის მაგიერ ს. მდივანი,
წევრები: ალ. ზალდანიშვილი,
კ. ფალავანდიშვილი, ვ. ცაგურია.
მდივანი შ. დადიანი.

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

ამასთანავე გახლებთ 2 მ. 15 კ. ბ. დ—ძეების ოჯახში ჭრელ ლაპარაკისთვის ჯარიმად შეგროვილს და აგრეთვე 1 მ. 58 კ. სოფ. ალის საკრედიტო ამხანაგობის ზოგიერთა გლეხ ამხანაგების მიერ შემოწირულს.

შემომწირველთა: სიკო კაპანაძე, ნიკო ახალკაცი, თადეოზ სხილაძე, სანდრო შუბითიძე, გიო შუბითიძე, დათა ნოზაძე, გიორგი შახპარუნოი. მაჭარაშვილი, აბგარა ყულიჯანოვი, არშაკ შახპარუნოვი, თედო ნოზაძე, ბ. ქიტიაშვილი, ვანო ყვიქინაძე, ვანო ქართველიშვილი, გრიგოლ ნოზაძე, მიხა ნოზაძე, სპირიდონ ნოზაძე, ვანო ნოზაძე, ნიკოლოზ მეხოვი, გიორგი კურტანიძე, ვანო ღიაროვი გიგა ნოზაძე და სინო შუბითიძე.

გთხოვთ შემომწირველთა სურვილისამებრ გარდასცეთ ტფ. ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ.

გ. გ—შვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

# გამოსაღები ცნობა

## მატარებელთა მისვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით.

**ტფილისიდან გადის**

**ბაქოსაკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, ალ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 06. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 1 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს. 47. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 6 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. [illegible] წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. [illegible] წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, [illegible] 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. [illegible] წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 5[illegible] წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, დილ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15.

**ერევნიდან: ს.ხ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 8 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. [illegible] წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 ბ, [illegible] 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვოდან სურამში: სახ.-საბრგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 3 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახაბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71 საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვოში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62 დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 [illegible] 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 7[illegible], საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 [illegible] **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 [illegible] 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. [illegible] ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 26/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № [illegible] п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п. საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 5 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. [illegible] წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. [illegible] წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 1[illegible], ნაშუა. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. [illegible] წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 1[illegible] ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვოში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლები №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირველ კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტიანი, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანი** (სადგ. ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4. **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ. 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

# გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ 2 [illegible]. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამშ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას**, **ხუთშ** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა. 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დამარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაჩანთაროვი** (სოლოლაკი. ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
0. 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასარიძე:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეჟტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ; კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბეჟტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, [illegible]

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. [illegible] ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი
**ვღებულობ საკერავს**
**ქალებისა და ბავშვების კაბებს.**
საქმეს ვაკეთებ სუფთად, საჩქაროდ ძრიელ ნაკლებ ფასად აგრეთვე **ვიყვან შეგირდებს**, ვასწავლი მორიგების დაგვარად. **მისამართი** ჭავჭავაძის ქუჩა № 12 **ხომასურიძე.** 1603.

**კურსისტი ქალი**
ადესის ქალთა უმაღლეს სასწავლებლისა, (გათავებული აქვს ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელი),
◆● **ეძებს გაკვეთილებს.** ●◆
მისამართი წერილით: ვეძინის ქუჩა, № 16. **ე. რ. ინდუაშვილისას.** 1613

მუხრანის კერძო
**სამკურნალო**
**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 4, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.** დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| | ექიმების მიერ: | დილით: |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილთ. | **სპექტიორი გ. მ.** | 8½—9½ ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. კ.** | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | 12½—1½ ს. |
| სადოსტაქრო სნეულებანი: | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | 9½—10½ ს. |
| საშარდეს და გვამის სადოსტაქრ. სნეულებ. | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| სნეულებ. საშვილ. და საბებით. | ექ.-ქალ. **საყვარელიძე დ. გ.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | 12½—1½ ს. |
| სნეულებ. ყურ., ყელის და ცხვ. | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 12½ ს. |
| ცუდი სენი და კანის სნეულებ. | **შაპელნიკოვი გ. ი.** | 1½—2½ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში. ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 58

**ცინკოგრაფია**
**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**
**კლიშეების დამზადებას.**
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

◆ **გამოსულია და იყიდება** ◆
**ნ. შიუკაშვილის**
პიესა **„მემკვიდრეობა“**, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**
**ი. გედევანიშვილის** პიესა
**„ბ ა მ ც ე მ ი“**
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**გამოსულია და იყიდება**
**არჩილ ჯორჯაძის**
**თხზულებანი**

| | | |
|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა“ | 80 „ |
| III „ | „ნააზრევი“ | 65 „ |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | 85 „ |

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**
**ისყიდება შემდეგი წიგნები.**

| | |
|---|---|
| ი. გოგებაშვილისა ბურჯი ეროვნებისა | 20 კ. |
| „ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები | 1 მ. |
| „ საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა | 10 კ. |
| „ ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად | 5 კ. |
| „ Методическое руководство для учителей и учителницъ | 40 კ. |
| გზბაშვილი ეკ. თხზულებანი | 1 მ. 20 კ. |
| გულივერის მოგზაურობა | 30 „ |
| ერისთავი რ. თხზულებანი წ. II | 40 „ |
| თხზ. ვაჟა-ფშაველასი | 1 მ. — |
| ვეფხის ტყაოსანი | 60 „ |
| კრილოვის არაკები | 50 „ |
| კლდიაშვილის მოთხრობანი | 30 „ |
| ნაწყვეტები პოლ. ეკონომიიდან | 50 „ |
| რუს.-ქართ. ლექსიკონი ჩუბ. | 2 მ. 40 „ |
| რობინზონ კრუზო | 30 „ |
| **ახლად მიღებული წიგნები:** | |
| Къ Матеріаламъ по исторіи и древн. Грузіи и рос. Джанашв. | —25 |
| Крестьянск вопросъ въ Закавказьѣ Аваліани | 2—50 |
| О древне-грузинскихъ лѣтописцахъ XI стол. Какабадзе | 35 „ |
| Кавказскіе депутаты въ 3-еіи Гос. Думѣ | 50 „ |
| შავი ქვა. წუწუნავასი | 10 „ |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
**ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,**
თევზის მრეწველნი
**მმ.**
**ძმებმელოვები.**
**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტელეფონი № 712.**
1131

გამოსული ქერჩის
**სელიოტკები**
და ყოველგვარი
**კონსერვები.**
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში
**მოხარშული დოში, ზურგიელი,**
და ყოველგვარი
◆ **შავი ხიზილალა** ◆

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.